N 5 2016 წლის 11 იანვარი ქ. თბილისი

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/02/2015, 430050000.10.003.018453) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მე-5 თავის - „მასწავლებლის დამატებითი საქმიანობები და მათი შესაბამისი კრედიტქულები“ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მასწავლებლის დამატებითი საქმიანობები და მათი შესაბამისი კრედიტქულები

დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი		**კრედიტქულა**
მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრობა (გარდა მენტორისა)	ფასილიტატორისათვის	3 კრედიტქულა (ფასილიტატორობის თითოეული წლისათვის

		- 1 კრედიტქულა)
	მასწავლებლის შეფასების ჯგუფის სხვა წევრებისათვის	1 კრედიტქულა
პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარი) მომხსენებლად მონაწილეობა		1 კრედიტქულა
სტაჟირება პროფესიული განვითარების მიზნით, რომელიც დადასტურდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენით		1 კრედიტქულა
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების		1 კრედიტქულა

შესაბამისი სასწავლო რესურსის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)		
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	სტატიის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)	1 კრედიტქულა
	მეთოდური ლიტერატურის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)	2 კრედიტქულა
	გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა	4 კრედიტქულა
სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტაცია (მხოლოდ უფროსი მასწავლებლისათვის)		2 კრედიტქულა
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგმოდულის		2 კრედიტქულა

ავტორობა. სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგის აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა		
მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებლის თვითშეფასების საფუძველზე, მასწავლებლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგის ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული ტრენინგის გავლა		25 საათი - 1 კრედიტქულა.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**